შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20(10.028)

11-18 ივნისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

როგორ შევქმნათ ენერგო ოაზისები?

სოფ.ფიროსმანი

სოფ.ზემო ქედი

დედოფლისწყაროში ახალი პროექტი დაიწყო – „ინოვაციური მიდგომები – სათემო განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“. დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლების მოსახლეობასთან. განახლებადი ენერგიის დანერგვისა და მისი გამოყენების შესაძლებლობას მოსახლეობა დიდი ინტერესით ხვდება. პროექტის ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა დეტალურად გააცნო შეხვედრების მონაწილეებს პროექტის მიზნები, ამოცანები და უპასუხა მათ კითხვებს.

ანა ბენაშვილი, **ლაგ-ის ხელმძღვანელი:** „ევროკავშირი კვლავ აფინანსებს ადგილობრივ დონეზე იმ ინიციატივებს, რომელიც მორგებულია, როგორც ეროვნულ პროგრამებთან, ასევე ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებთან. განახლებად ენერგიებთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში ლაგ-მა მიიღო მონაწილეობა და მოიპოვა დაფინანსება. ჩვენი პროექტი, პარტნიორი ორგანიზაციის „მწვანე რეგიონები“, ექსპერტების ჩართულობით, გეგმავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და განახლებადი, არანიაღისეული ენერგიის წყაროების ჩანაცვლების პოპულარიზაციას რეგიონში მცხოვრები ოჯახების კომუნალური ხარჯების და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებელი ეკომეგობრული მიდგომების გამოყენებით. გვაქვს კოორდინაცია „ლაგის“ ადგილობრივ მობილიზატორებთან, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს დეპუტატებთან. მოგეხსენებათ, რომ XXI საუკუნის მსოფლიო ენერგეტიკა სწრაფად განიცდის ტრანსფორმაციას და უარს ამბობს ტრადიციული ენერგო რესურსების გამოყენებაზე. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ტრადიციული ენერგო რესურსები (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი) ამოწურვადია და აზიანებს საცხოვრებელ გარემოს. ამიტომ განახლებადი ენერგიების დანერგვის ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. ევროკავშირთან დაახლოების პროცესში საქართველოს აქვს კონკრეტული გეგმები და განვითარების სტრატეგია CO-ს შემცირების კუთხით. მაგალითად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია არის ხელმომწერი დოკუმენტზე „მერების შეთანხმება ეკონომიკური განვითარებისთვის“, რაც თანხვედრაშია „პარიზის შეთანხმება“-სთან. ამ შეთანხმების მიზნები კი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან, როგორიცაა ენერგოეფექტურობის ამაღლება, ენერგოუსაფრთხოება და სხვა.

განახლებადი ენერგიების დანერგვის მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი სიახლეა მზის ენერგიის გამოყენება. განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტიანობის საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“. განახლებადი ენერგიის ათვისების ხელშეწყობის მიზნით 2016 წელს ამ კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის სტატუსი (საცალო მომხმარებლის მფლობელობაში არსებული განახლებადი ენერგიის წყარო) და მისი მაქსიმალური სიმძლავრე, აგრეთვე საცალო მომხმარებლის საკუთრებაში არსებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ განაწილების ქსელში ელექტროენერგიის მიწოდების პრინციპები“.

პროექტის განხორციელება დაიწყო მაისის თვიდან, ამ ხნის განმავლობაში პროექტის ხელმძღვანელი და ფინანსური მენეჯერი შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებთანაც განიხილეს პროექტის დეტალები, შეთანხმეს სატრენინგო თემატიკის საკითხები კონკრეტული აუდიტორიისთვის და განსზღვრეს ტრენინგების ჩატარების პერიოდი. საინფორმაციო შეხვედრების დასრულების შემდეგ დაიწყება ტრენინგების ციკლი და მოსახლეობა მიიღებს საჭირო ინფორმაციას ამ ინოვაციურ საკითხებთან დაკავშირებით.

პროექტის ხელმძღვანელები თვლიან, რომ პროექტის შედეგად ამაღლდება დედოფლისწყაროს მოსახლეობის ცნობიერება ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგორესურსების ხელმისაწვდომობის და გამოყენების მიმართულებით, რაც გაზრდის მათ მოტივაციას ალტერნატიული ენერგიების გამოყენებაზე. ბენეფიციარ ოჯახებს შეუმცირდებათ კომუნალური ხარჯები, ქალებს და ხანდაზმულებს გაუადვილდებათ შრომა, შემცირდება ზემოქმედება გარემოზე. ეს იქნება ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისკენ სათემო დონეზე გადადგმული პირველი პატარა ნაბიჯები .

განახლებადი ენერგია არის ენერგია, რომელიც წარმოიქმნება განახლებადი, არაწიაღისეული ენერგიის წყაროებიდან, რომლებიც ივსება ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში. განახლებადი ენერგიის განთავსებას სოფლად აქვს შესაძლებლობა, შეამციროს სათბურის გაზების ემისიები და შეამციროს საქართველოს დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავსა და იმპორტირებულ ენერგიაზე,, რაც ხელს შეუწყობს მისი ენერგომომარაგების უსაფრთხოებას. სოფლის ტერიტორიებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ეკოსისტემებისა და ბუნებრივი კაპიტალის შესანარჩუნებლად.

ინგა შიოლაშვილი



შეხვედრა ექსპერტებთან



სოფ.მირზაანი

C M Y K

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და გამარჯვებაში მერის წარმომადგენელთან, ზვიად ზვიადაურთან ერთად სოფელ გამარჯვებაში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში ეწყობა დასასვენებელი პარკი, ბავშვთა გასართობი მოედანი და ატრაქციონები.

ახალი სკვერის დასრულება აგვისტოს ბოლოსთვის იგეგმება. პროექტს რეგიონული განვითარების ფონდი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ახორციელებს და მისი ღირებულება 205 904 ლარს შეადგენს.

სამუხის მრავალმხრივი გამოყენების კატეგორიის დაცული ტერიტორია შეიქმნება

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისა და აზერბაიჯანი-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს შორის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების კატეგორიის დაცული ტერიტორია შეიქმნება. ინფორმაციას ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დღეს გამართულ სხდომაზე, საქართველოს მთავრობამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონ-პროექტი „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ" მოიწონა.

კანონპროექტის თანახმად „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ", გათვალისწინებულია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისა და აზერბაიჯანი-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს შორის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების კატეგორიის დაცული ტერიტორიის დაარსება.

„ეს იქნება პირველი სახელობითი დაცული ტერიტორია საქართველოში, რომელიც ქართველი მეცნიერის, ცნობილი გარემოსდამცველის და პოეტის ნუგზარ ზაზანაშვილის სახელს უკვდავყოფს. ნუგზარ ზაზანაშვილის უშუალო ჩართულობით, ქვეყანაში

მრავალი დაცული ტერიტორია შეიქმნა; მისი ზედამხედველობით, სამუხის ველზე, 2013 წლიდან, აქტიურად მიმდინარეობს ქურციკის (ჯეირანის) აღდგენის პროექტი.

საქართველოში, 1990 წლებში, ქურციკი სრულად გადაშენდა. 2013 წლიდან, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, გერმანიის მთავრობის ფინანსური დახმარებით, WWF-is, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და სხვა მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, ამ სახეობის აღდგენის პროექტი დაიწყო.

დღეისათვის, სამუხის ველზე და მიმდებარედ უკვე, დაახლოებით, 200 ქურციკი ბინადრობს. წელს ლიკლიკების მერვე თაობა დაიბადა. ქურციკის აზერბაიჯანიდან რეინტროდუქცია (სახეობის კვლავ დაბრუნება/აღდგენა) ითვლება ყველაზე წარმატებულ საკონსერვაციო და აღდგენის პროექტად საქართველოში. დაცული ტერიტორიის შექმნა ხელს შეუწყობს ამ რეგიონში ქურციკის პოპულაციის გრძელვადიან გადარჩენას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკოტურიზმის განვითარებას და ტრადიციული მეცხვარეობისა და საძოვრების მდგრად გამოყენებას", - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ვაშლოვანში, არწივის კანიონზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილთან ერთად, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, არწივის კანიონზე შესრულებული ეკოტურისტული სამუშაოები დაათვალიერა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, არწივის ხეობაში დამატებითი ეკოტურისტული სივრცე მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და გადასასვლელი ხიდებით. 1 კილომეტრამდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკი კანიონის სიღრმეს მიუყვება, საიდანაც

რამდენიმე ჩანჩქერის მონახულებაა შესაძლებელი. არწივის კანიონის ახალ საფეხმავლო ბილიკზე, სუბტროპიკულ გარემოში მოგზაურობა ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით შთამბეჭდავია.

არწივის კანიონი ულამაზესი ლანდშაფტებით გამორჩეული ბუნების ძეგლია, რომელიც ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულებს განსაკუთრებულ სანახაობას სთავაზობს. აქ ბუდობს მტაცებელ ფრინველთა მრავალი სახეობა, მათ შორის ორბი, სვავი, ფასკუნჯი. ხეობის კლდოვანი ფერდობებიდან შესაძლებელია ორბების ბუდეებისა და იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეების ნახვა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგან არსად გვხვდება.

საქართველო პროდუქციის გაიაფების მოლოდინში

ლარის გამყარებამ მოსახლეობაში იმედი გააჩინა. ისინი მკვეთრად გაძვირებული პროდუქციის გაიაფების მოლოდინში არიან. ეს ლოგიკურიცაა, რადგან წლის დასაწყისიდან მოყოლებული ეროვნულმა ვალუტამ რამდენიმე პუნქტით გაიუმჯობესა პოზიცია.

თუ ბოლო თვეების განმავლობაში ბიზნესი გაძვირების კვალდაკვალ ლარის არასტაბილურობაზე აკეთებდა აქცენტს, ახლა მათ ეს ბერკეტი ხელიდან გამოეცალათ. ეროვნულმა ვალუტამ გამყარების მხრივ ბოლო წლების რეკორდი მოხსნა, თუმცა ირკვევა, იმპორტიორებისთვის მხოლოდ ეს კომპონენტი საკმარისი უკვე აღარ ყოფილა, რათა მათ გაიაფების პროცესი წამოიწყონ.

დისტრიბუტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ივა ჭყონია ახლა პირდაპირ აცხადებს, რომ სხვა ბევრ მიზეზებთან ერთად, პროდუქციაზე ფასი ლარის მიმართ დაბალი ნდობის გამოც ვერ დაიწევს.

„ფასები არ გაიაფდება. ამას აქვს ბევრი მიზეზი. პირველი, საერთაშორისო ბაზარზე ფასები მკვეთრად გაზრდილია. ამასთან, მომატებულია კომუნალური ტარიფები, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება არა მხოლოდ წარმოებაზე, ასევე შენახვაზე და სასაწყობე მეურნეობაზე. გაზრდილია ნედლეულზე ფასიც, როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთ და რაც უმნიშვნელოვანესია, საწვავის ფასი უფრო და უფრო იზრდება.

ხაზი უნდა გაესვას ხელშეკრულებებს ქსელურ სუპერმარკეტებთან, რომელთა მოთხოვნებიც მუდმივად იზრდება და წელს, ახალი ხელშეკრულებების გაფორმებისასაც მოლოდინი ასეთია. ესეც აისახება ფასებში. კარგი იქნება, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თუ მოხდება ფასების შენარჩუნება.

გარდა ამისა, ეროვნული ვალუტის მიმართ არავითარი ნდობა არ არსებობს და ისიც არ ვიცით, რა ამყარებს ლარს. რეალურად, ქვეყნის ეკონომიკას ლარის ტენდენცია აცდენილია. შესაბამისად, უახლოესი პერიოდი პროდუქტებზე ფასის კლებას არ უნდა ველოდოთ. უახლოესი სამი თვის განმავლობაში არაფერი არ იქნება.

ეკონომიკის მინისტრი ლევან დავითაშვილი აცხადებს, რომ მთავრობის გუნდისთვის მთავარი პასუხისმგებლობაა მოსახლეობისთვის ნორმალური საარსებო გარემოსა და ეკონომიკური პირობების შექმნა.

„ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკაც ზუსტად იმისკენ არის მიმართული, რომ გარკვეული მყისიერი დაცვის სოციალური მექანიზმები ავამოქმედოთ, რათა ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობა შევამსუბუქოთ იმ პირობებში, როდესაც გლობალურად პრობლემაა ფასების ზრდა და ინფლაცია, ასევე, ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა წარვმართოთ იმგვარად, რომ მაქსიმალურად მოხდეს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და დასაქმება. რა თქმა უნდა, ეს არის მთავარი ამოცანა.

დღესდღეობით ინფლაციაზე დიდწილად მოქმედებს ორი რამ, ეს არის საკვები პროდუქტები და საწვავი. საწვავთან დაკავშირებით პრემიერის ინიციატივით, მოკვლევა გააკეთა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა და კონკურენციის სააგენტოსთან ერთად ჩვენ ვიმუშავეთ, რომ დეტალურად გაგვეანალიზებინა მიწოდების ყველა რგოლი, იმისთვის, რომ გვენახა სივრცე, როგორ შეიძლებოდა მოსახლეობისთვის საწვავზე ფასების შემცირება.

დავინახეთ, რომ ომის დაწყების პირველ დღეებში ფასები რეკორდულად გაიზარდა. ორგანიზებულად ვიმუშავეთ ბიზნესთან, რომ დამატებითი დივერსიფიკაცია მოგვეხდინა მოწოდების წყაროების მხრივ, რაც მოვახერხეთ კიდეც - ეს იქნება შუა აზიის ქვეყნები თუ სხვა მოწოდების წყაროები, მოვახერხეთ ალტერნატიული საწვავის ქვეყანაში შემოსვლის ხელშეწყობა, რამაც საშუალება მოგვცა, რომ ფასების დაკლება დაიწყო. ვხედავთ, განსაკუთრებით არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა“, - განაცხადა დავითაშვილმა.

მისივე თქმით, ასევე იყო პოლემიკა ხორბალთან მიმართებით და აქაც სახელმწიფოს გადაწყვეტილება ერთ რამეს ეფუძნებოდა - მნიშვნელოვანია ეკონომიკა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

„გადაწყვეტილება მივიღეთ ზუსტად ამის სასარგებლოდ, რომ ფქვილის ფასი ნაკლებად გაზრდილიყო, თუმცა, გვესმის, რომ ინფლაცია არის და ფასები ზოგადად იზრდება“, - განაცხადა დავითაშვილმა.

მთავრობა ამაყობს იმითაც, რომ 2021 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 17.5 პროცენტი შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წელს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 2.1 % პუნქტით შემცირდა და 15 % შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 6.3 % პუნქტით შემცირდა და 21.3 % შეადგინა.

აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი, როგორც ქალებში, ისე კაცებში, შემცირებულია 3.8 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად, 17.1 და 17.9 პროცენტს შეადგენს“, - აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

პარალელურად კი საქართველოში ერთი ოჯახის საშუალო შემოსავალმა 1050 ლარს მიაღწია. თითქოს ასეთი სტატისტიკა დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს, მით უფრო რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მაგრამ, სპეციალისტების შეფასებით, დღეს ოჯახების და მათი წევრების შემოსავალი (თუნდაც გაზრდილი) ყოფა-ცხოვრებისთვის საკმარისი არ არის. პანდემიიდან მოყოლებული დღემდე ქვეყანას ინფლაცია უტევს, ყველაფერი გაძვირებულია და გაურკვეველია უახლოესი მომავლის პერსპექტივაც.

ეკონომისტი სოსო სიმონიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც მიიჩნევს, რომ 1050 ლარი ოჯახისთვის საკმარისი არ არის და არც სიღარიბის შემცირებაა თვალნათელი.

„ცხადია, 1050 ლარი არ არის საკმარისი. ჩვენი მთავრობა ამაყობს იმით, რომ ქვეყანას აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ამის გამო კმაყოფილია. საქართველო განვითარებული და მეტ-ნაკლებად ნორმალური ქვეყნებისგან იმით გამოირჩევა, რომ ჩვენთან აინტერესებთ და საუბრობენ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე და ზოგჯერ - ინფლაციაზე, მაგრამ არ საუბრობენ ისეთ თემაზე, როგორიც არის მოსახლეობის კეთილდღეობა.

კეთილდღეობა იზომება ისეთი პარამეტრებით, როგორებიც არის სრულფასოვანი კვება, ჩაცმა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ. ამის შედეგად დგინდება კეთილდღეობის კოეფიციენტი. ჩვენთან ამას არ ზომავენ, ევროპის ქვეყნებში კი ამას ზომავენ და დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქ ამაზე საერთოდ არ საუბრობენ, ხალხს ამის შესახებ არ ესაუბრებიან და არც აინტერესებთ“, – აღნიშნა სოსო სიმონიშვილმა.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

მწარმოებლებისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდება – ვის შეეხება ცვლილებები

1-ლი ივლისიდან მწარმოებლებისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდება. საუბარია საბურავების, ზეთების, აკუმლატორების და ელემენტების, ასევე ელექტრონული და ელექტრული ნარჩენების მწარმოებლებსა და იმპორტიორებზე.

უფრო კონკრეტულად, თემის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრა-ნიუსის” გადაცემაში „საქმე“ ისაუბრა. მისი თქმით, რეგულაცია ევროდირექტივებიდან გამომდინარეობს და საქმე ეხება ნარჩენების მართვის სქემას, რომელიც აღნიშნული საქმიანობით დაკავებულმა მწარმოებლებმა უნდა შექმნან.

„ძალიან მნიშვნელოვანია, იცოდეს მოსახლეობამ და პირველ რიგში, ბიზნეს ოპერატორებმა, რომ მწარმოებლის გაფართოვებული ვალდებულება გამომდინარეობს ევრო დირექტივებიდან, ასევე, ასოცირების ხელშეკრულების ნაწილია ზოგადად ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება. სწორედ მისი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია მწარმოებლის გაფართოვებული ვალდებულება. მარტივად რომ ვთქვთ, ამ შემთხვევაში მწარმოებლებში იგულისხმება იმპორტიორი, ბაზარზე განმთავსებელი, დისტრიბუტორი და ვისაც შეხება აქვს ამ ნაკადებთან.

მკაფიოდ ვთქვათ ორი თარიღი, პირველ ივნისამდე მათ უნდა გაევლოთ რეგისტრაცია, რომ ყოფილიყვნენ სარეგისტრაციო ბაზაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აეკრძალებათ 1-ლი ივლისიდან პროდუქციის იმპორტი. ვინც ამ ოთხი ნაკადის, კერძოდ, ავტომობილის ზეთები, ავტომობილის საბურავები, აკუმლატორები და ელემენტები, ასევე ელექტრონული და ელექტრული ნარჩენების წარმოებითაა დაკავებული, ეს ეხება მხოლოდ მათ ამ ეტაპზე. ამიტომ, სხვა მეწარმეები ნუ ეცდებიან ამ ბაზაში დარეგისტრირებას, ძალიან მკაფიოდ არის ეს ოთხი რეგლამენტი, რომელიც ატვირთულია საიტებზე, როგორც გარემოს დაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის საიტზე, ასევე rs.ge-ზე. მთავარი მიზანია, როგორც საქართველოს მთავრობის, ისე გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსი, რომ ამ რეგლამენტებმა რამე შეფერხებები, სპონტანური მოვლენები არ გამოიწვიოს. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მათი აზრიც გაგვეთვალისწინებინა, ამ რეგლამენტის მიღების პროცესში და სწორედ მათთან ერთად მივიღეთ.

ეს გულისხმობს იმას, რომ თუ მე მაქვს ბაზარზე 10%, ეს ოთხივე რეგლამენტი მაძლევს საშუალებას, შევქმნა სქემა, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებულმა ორგანიზაციამ მართოს ჩემს მიერ პროდუქციის გამოყენების შემდგომ დარჩენილი ნარჩენები. მას მისცეს ისეთი ფორმა, რომ უსაფრთხო იყოს გარემოსთვის, ან მოხდეს მისი რეციკლირება, აღდგენა, ან ექსპორტზე გატანა. ანუ უპატრონოს ამას, იმიტომ, რომ ნარჩენი ნაგავი არ არის, მას გააჩნია ღირებულება და როდესაც ჩვეულებრივ პროდუქცია კარგავს სახმარ ღირებულებას, იმის შემდგომ დარჩენილ ნარჩენზე ვინმე ხომ უნდა იყოს პასუხისმგებელი”, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

Rosneft-ი „გალფის“ აქციონერი აღარ არის

„პეტროკას ენერჯი გრუპის“ დამფუძნებელმა პარტნიორმა და კომპანიის CEO-მ ვანო ნაკაიძემ კომპანიაში რუსული ენერგოგიგანტის, Rosneft-ის მინორიტარული წილი გამოისყიდა. Rosneft-ი კომპანიაში 49%-იან წილს 2014 წლის დეკემბრიდან ფლობდა.

შესაბამისად, Rosneft-ი აღარც „გალფის“ აქციონერთა რიგებში აღარაა.„პეტროკას ენერჯი გრუპი“ 2010 წელს დაფუძნდა და ნავთობის საბითუმო და საცალო ქსელის ერთ-ერთი ლიდერია. საქართველოში მის შემადგენლობაში შედის „გალფის“ ბრენდის ბენზინგასამართი ქსელი, ფოთის ნავთობტერმინალი და კომპანია „პეტროკას ფიუელ სერვისის ჯორჯია”, რომელიც საავიაციო საწვავის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელია.

„პეტროკასი” აცხადებს ტრანზაქციის დასრულების შესახებ, რომლის შედეგადაც 2022 წლის 11 მაისიდან, კომპანიაში Rosneft-ის 49%-იანი მინორიტარული წილი „პეტროკას ენერჯი გრუპის” დამფუძნებელმა პარტნიორმა და CEO-მ ვანო ნაკაიძემ გამოისყიდა. ტრანზაქციის შედეგად, ღოსნეფტ-მა სრულად დატოვა მისი სააქციო პოზიცია „პეტროკას ენერჯი გრუპში” და შესაბამისად კომპანიის ბორდიდან მისი ორი წარმომადგენელიც გადადგა.

2014 წლის დეკემბერში „პეტროკას ენერჯი გრუპმა” და Rosneft-მა დაიწყეს პარტნიორობა, რის ფარგლებშიც Rosneft-მა კომპანიის 49%-იანი წილი შეიძინა.

2010 წელს, დაფუძნებიდან „პეტროკას ენერჯი გრუპი” ჩართულია ნავთობპროდუქტების ვაჭრობის, საცალო და საავიაციო საწვავის დისტრიბუციის და ლოჯისტიკის სფეროში შავი ზღვის, კასპიისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონებში,”- ნათქვამია კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

გამოქვეყნებულ განცხადებაში გარიგების ღირებულება მითითებული არაა.

მასწავლებლობა უპირველესი პროფესიაა...

დიახ, მასწავლებლობა უპირველესი პროფესიაა, რადგან „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“. ჰოდა, რადგან ბრძენებსაც კი მასწავლებელი სჭირდებოდათ, გერქვას მასწავლებელი და ამართლებდე ამ წოდებას, მართლაც რომ საამაყოა. ეამაყება კიდეც ნიკო წიკლაურს ის 50 წელი, რომელიც მან ზემო ქედის №1 სკოლაში გაატარა. აქედან 17 წელი სკოლის დირექტორი გახლდათ. მასზე არაერთხელ დაწერილა ჩვენს გაზეთში და თავადაც ბევრჯერ ყოფილა საინტერესო სტატიის ავტორი.



ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ „წარმატებული დედოფლისწყაროელის“ წოდება აქვს მინიჭებული, რომ ის მცოდნე ისტორიკოსია და სასწავლო ოლიმპიადებში მისი ხელმძღვანელობით ბევრ ბავშვს გაუმარჯვნია, დიპლომი დაუმსახურებია და ნიკოსაც რგებია ამისთვის ჯილდო, რომ ბავშვობაში მსახიობობით იყო გატაცებული და იმდენად უნდოდა იმ გმირს დამსგავსებოდა, რომელსაც განასახიერებდა, რომ გაფსეტილი თმები 6 თვიანი „ზავილკით“ დაიმშვენა და დარჩა კიდეც ზედმეტ სახელად „ბაში-აჩუკი“, რომ ეს სახელი დიდობაში „წიკო ნიკომ“ ჩაანაცვლა, რადგან ტელეფონზე მაშინდელ განათლების განყოფილების გამგეს, ნინო ბოსტოღანაშვილს (ნათელში იყოს მისი სული) მღელვარებისაგან ნიკო წიკლაურის ნაცვლად წიკო ნიკლაური გისმენთო უთხრა, რომ ჯერ თბილისის თეატრალური სასწავლებელი დაამთავრა და მალევე, როცა მიხვდა, რომ მისგან დიდი მსახიობი არ დადგებოდა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა და ისტორიკოსის დიპლომი აიღო, რომ შემდეგ ორდიპლომიანი კაცი ისევ სოფელს დაუბრუნა განათლების სამინისტრომ (არ შემცდარან, ასე სჯობდა) და ასე გახდა თავისი ყოფილი მასწავლებლების კოლეგა და შემდეგ უფროსი, რომ გაზეთ „ახალ შირაქში“ სთხოვდნენ კორესპონდენტობას, მაგრამ მან სკოლა აირჩია, რომ მისი კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორობისას სოფლის ყველა განთესილი ბავშვი სწავლას დაუბრუნდა, რომ გაკვეთილებს შორის დიდი დასვენება ზეიმად იქცა ბავშვებისთვის მის მიერ შემუშავებული სპორტული და მხატვრულ-გასართობი პროგრამების მეშვეობით, რომ მისი ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა საბჭოთა კავშირში არსებული თითქმის ყველა გმირი ქალაქი მოინახულეს და რომ იმდროინდელი მოსწავლეებისათვის და მასწავლებისათვის ეს დაუვიწყარი წლები იყო...

***

სულ ცოტა ხნის წინ, ნიკოს 85 წელი შეუსრულდა. მის პატივსაცემად ეზოში გაძლილ სუფრას მისი კოლეგები, ყოფილი მოსწავლეები, ახლობელი ნათესავები და მეზობლები შემოუსხდნენ. მეც მათ შორის გახლდით და... ხომ ამბობენ, ქართული ტრადიციული სუფრა აკადემიაა და თუ კაცი გინდა გაიცნო, სიმთვრალეში უნდა ნახოო, ერთხელ კიდევ ვაღიარე ჭეშმარიტებად. არა, იქ ღრეობა და ზომას გადამეტებული სმა-ჭამა არ გამართულა, ერთმანეთის გაცნობა და ნიკოზე ბევრი რამის გაგება კი, ნამდვილად, მოვახერხე, რადგან ყველა თავისი თვალსაწიერიდან ახასიათებდა იუბილარს და ჰყვებოდა მასთან ერთად თავსგადახდენილ ამბებს. სუფრას ბევრი კარგი საქმის ორგანიზატორი და ზემო ქედის N1 სკოლის ფიზკულტურის ყოფილი მასწავლებელი **ელგუჯა თეთვაძე** ჩვეული ხალისით უძღვებოდა: თითქმის უმრავლესობა, ვინც დღეს ამ სუფრას ვუსხედვართ, ნიკოს მხარდამხარ ვმუშაობდით ზოგი დიდხანს, ზოგი - ცოტა ხანს, მაგრამ ის, რომ ნიკო ენთუზიაზმით სავსე, ძალიან განსწავლულ-განათლებული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობით სავსე კაცი იყო, ყველამ კარგად გავიგეთ, დავიმახსოვრეთ და მაგალითიც ავიღეთ ხშირად. დღეს ის იუბილარია, 85 წელი ცოტა არ არის, მადლობა უფალს, ფეხზე მყარად დგას, არც გონება ღალატობს და არც სტუმარმასპინძლობა ეშლება ძველებურად. ჩვენ მოვედით, რათა კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა იმისთვის, რაც მან ზემო ქედელი მომავალი თაობისთვის გააკეთა, - ბრძანა უფალმა თამადამ და უფლის სადიდებლის შემდეგ იუბილარის სადღეგრძელო შემოგვთავაზა.

ყველამ თავისი თვალსაწიერიდან დაახასიათა იუბილარი.

ლილი აფციაური: 12 წელი ვასწავლიდი მუსიკას და სიმღერას ზემო ქედის N1 სკოლაში. ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი დღე მახსენდება. დღეს თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ 120 ბავშვი იდგა სასკოლო გუნდში და დისციპლინაც თავის სიმაღლეზე იყო, რეპერტუარიც, ძირითადად, ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე იდგა, ნიკო მასწავლებელი არამარტო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს ასწავლიდა ბავშვებს, არამედ საქართველოს ისტორიის იმ ნაწილსაც, რომელიც სასკოლო წიგნებში არ ეწერა და მან თავისი პროფესორებიდან ზეპირი გადმოცემით იცოდა. ამიტომ, ისტორიის წრეში მოსწავლეთა დიდი ნაწილი იყო გაერთიანებული. მის ორგანიზატორობას და სასწავლო ნაწილობას მოვესწარი, როგორც დირექტორთან, შეხება აღარ მქონდა, რადგან გავთხოვდი და დედაქალაქში გადავედი საცხოვრებლად. თუმცა, მამის ოჯახში სტუმრობისას ხშირად ვხვდებოდი მას და მახსოვს, როგორი აღტაცებით საუბრობდა თავის პედაგოგიურ კოლექტივზე, მოსწავლეებზე, მიღწევებსა თუ საჭირბოროტო საკითხებზე.

ზემო ქედელების პროფესიონალმა თამადამ და კარგმა დეკლამატორმა, სკოლის ფიზკულტურისა და სამხედრო სწავლების ყოფილმა მასწავლებელმა **ბადურ გიგოლაშვილმა,** რომელიც ბავშვობიდან იცნობს მის ოჯახს, ბევრი რამ გაიხსენა: ნიკოს მშობლები, გაბრიელი და სონია, ორი ვაჟის და ორი ქალიშვილის მშობლები იყვნენ და მათი ზნეკეთილი აღზრდისთვის ბევრს აკეთებდნენ. გაბრიელი ძია თვითნასწავლი მწიგნობარი იყო. იგი ზემო ქედის კვირაცხოვლობის პირიმზის ხატის ანგელოზის დეკანოზი გახლდათ. იმისთვის, რომ საქონელს არ დაეზიანებინა და არ დაებინძურებინა ხატის მიმდებარე ტერიტორია, შენაწირი და მონათხოვარი თანხით უფანგავი მავთულის ბადე შეიძინა და გარს შემოავლო ტერიტორიას. მორჩენილი ორი გორგალი სახლში წამოიღო და ეზოში დადო. კარგა ხანს ეწყო ეს გორგლები და ნიკომ იფიქრა, აღარ სჭირდებაო, ადგა და სამეურნეო ეზო შემოფარგლა, ქათმები და წინლები აღარ გამოვლენ ეზოშიო. საღამოს სახლში მობრუნებულმა ძია გაბრიელმა ეს რომ ნახა, თავისივე ხელით მოახსნევინა და მეორე დღეს ჩემი მანქანა-ფურგონით ხატის ეზოში გადაგვატანინა. სხვაც ბევრი ასეთი მაგალითის შედეგი იყო, რომ ნიკო პატიოსანი ადამიანი გაიზარდა. ერთხელ, ერთი მასწავლებლის სკოლაში დასაქმების სანაცვლოდ, მისმა მშობლებმა კონვერტით ფული მოართვეს. ნიკომ უკან დაუბრუნა. ამ საქციელს კი ასეთი ახსნა მოუძებნა: ფული რომ ამეღო, ერთი ჩვეულებრივი კაცი ნიკო წიკლაური ვიქნებოდი და არა ნიკო მასწავლებელიო. ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტებაა.

სიმართლისთვის ძებნაში კი ბევრჯერ მოუხდა რკინის ქალამნების ჩაცმა. ერთხელ, რაიკომში ბიუროზე იხილავდნენ საკითხს პროფსასწავლებელში მოსწავლეთა გაგზავნის გეგმის შესრულების თაობაზე. მაშინ ეს სავალდებულო იყო, ცხრა კლას დამთავრებულებიდან ვინც სუსტი იყო სწავლაში, ან დისციპლინით არ გამოირჩეოდა, პროფსასწავლებელში აგზავნიდნენ, რაზეც მშობლები და ბავშვებიც, ხშირად, პროტესტს აცხადებდნენ. ამიტომ ჭირდა გეგმის შესრულება. ნიკოს იმ წელს გეგმა შესრულებული ჰქონდა, მაგრამ ვიღაც-ვიღაცეებმა (პარტიულმა ფუნქციონალებმა), ნიკო რომ არ მოსწონდათ და ჯავრი სჭირდათ, შარი მოსდეს და თანამდებობიდან განთავისუფლება მოუნდომეს, დადგენილებაშიც წინასწარ ასე ჰქონდათ განსაზღვრული. ნიკო რის ნიკო იყო, ამას თუ ჩაყლაპავდა. მაშინაც, მრავალგზის ნაცადი რკინის ქალამნები ჩაიცვა, განათლების სამინისტროში ჩავიდა და თავისი სიმართლე დაამტკიცა. ნიკო მას მერე კარგა ხანს იყო ისევ დირექტორი, იმ გამიზნული ტყუილისათვის კი იმ პარტიულმა ფუნქციონალებმა სასტიკი საყვედურები დაიმსახურეს პირად საქმეში შეტანითო.

თავისი აკორდეონით და მრავალი მოგონებით იყო „წარმოდგენილი“ ყველასთვის ცნობილი, საყვარელი და დამსახურებული ქორეოგრაფი **ლევან ხუნაშვილი,** რომელმაც მრავალი წელი გაატარა ზემო ქედის კულტურის სახლსა და სკოლაში და მრავალი თაობაც აზიარა ქართული ხალხური ცეკვის მადლს.

ზემოთაც გითხარით, რომ კაცი სუფრაზე და სიმთვრალეში უნდა გაიცნო - მეთქი და ასეც მოხდა, ჩვენ რომ ფოტოგრაფ **გურამად** ვიცნობთ და ვხედავთ, რომ ხშირად არ ამბობს უარს ყურძნის ნაჟურზე, თურმე მარტო კი არა სვამს, გემრიელადაც ქეიფობს, მღერის, ცეკვავს და ისე მოგალხენს, გეამება. მითუმეტეს მაშინ, თუ მას გვერდში ისეთი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული თანამეინახენი უსხედან, როგორებიც **გივი ლაზვიაშვილი და უშანგი ჩოხელია.**

მასპინძელმაც კარგად მოილხინა და ბევრი სახალისო ამბავი გაიხსენა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე თავსგადახახედი: თეატრალურ სასწავლებელს ვამთავრებდი, უნივერსიტეტში ისტორიულზე რომ ჩავირიცხე. ლექციების გაცდენებზე დიდი სიმკაცრე იყო. არადა, სადიპლომო სპექტაკლს ვამზადებდით. რეპეტიციების გამო მთელი კვირა გამიცდა. გარიცხვა ზედ მაქვს-მეთქი, შიშით ვკანკალებდი. ვიფიქრე, ვიფიქრე და... ერთი ახალგაზრდა ბიჭის (მორეული ნათესავი იყო) სურათს გარშემო "შავი ტრაული" შემოვავლე, გულზე დავიმაგრე (მაშინ ასე გამოხატავდნენ დიდ მწუხარებას), რამდენიმე დღე წვერიც აღარ გავიპარსე და დამწუხრებული სახით (მე ხომ მსახიობი ვიყავი), დეკანის კაბინეტის კარზე მონიწებით დავაკაკუნე. ნებართვის მერე ფეხაკრეფით შევედი და უხმოდ გავჩერდი მისი სამუშაო მაგიდის წინ. დეკანმა სათვალიდან ამომხედა, დამაკვირდა, თავი გადააქნივ-გადმოაქნივა და თანაგრძნობის კილოთი შემეკითხა: რა მოხდა ყმაწვილო? მე სლუკუნ-სლუკუნით ამოვღერღე - ავტოკატასტროფაში დაილუპა. ის ის იყო ტირილიც უნდა მიმეყოლებინა, რომ მითხრა: დეკანატში განცხადება დაწერე და საპატიოდ ჩაგითვლიო, რომ მორცხვად თავდახრილმა საგანგებოდ მომარჯვებული განცხადება წინ დავუდე- ე მანდ არ გასკდეს ჩემი საქმე და არ გადაიფიქროს-მეთქი. ერთხელ კიდევ დაკვირვებით შემომხედა და, დარწმუნებულმა, რომ ცამდე მართალი ვიყავი, დაადო რეზოლუცია-"ჩაეთვალოს საპატიოდ". როგორ გამოვედი კაბინეტიდან, არ მახსოვს. ქინძისთავით მიმაგრებული სურათი სასწრაფოდ მოვიხსენი, ნაცნობს არავის გადავეყარო-მეთქი და შვებით ამოვისუნთე. ასე გამომადგა ჩემი არტისტული მონაცემები და განათლება თავის დახსნის გზის ძიებაში...

***

გვიან დააყენა საშველი ოჯახის შექმნას ნიკო მასწავლებელმა. მისი მეუღლე ნორა ფაჩხატაშვილი ჰერეთიდანაა, სოფელ ალიბეგლოდან. მადლობა უფალს, ჰერეთში ქართული სული ისევ ძალუმად ფეთქავს. ქალბატონი ნორაც, მისი შვილი და შვილიშვილები გამართული ქართულით მეტყველებენ და ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესებიც კარგად იციან. ცხოვრობენ ასე, ერთმანეთის მხარში დგომითა და ერთმანეთის იმედით.

-ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრი კარგიც ვნახე და ბევრი ავიც, მადლიერებაც და უმადურობაც, ჭორისა და ტყუილ-მართლის აღრევითაც მეტკინა გული, მაგრამ ცხოვრება მაინც სასურველი და საინტერესოა. მადლობა უფალს, რაც გამოიმეტა ჩემთვის! - ამბობს ბატონი ნიკო და ისე მხნე და შემართულია, 90 წლისთავზე ისევ გვეპატიჟება! იცოცხლეთ და გაიხარეთ, ბატონო ნიკო, მრავალჟამიერ!

ნაირა გოლაშვილი

***

ხაბ-ღმერთის საგალობელი

მაშ გაუმარჯოს სამასსამოცდასამსა ხატსა ქებულსა
მთაში, ბარში და ჯუხსში, სოფლებსა აუვავებულსა
სვეტიცხოველს და ალავერდს, მოედნით ამწვანებულსა,
ნიკორწმინდას და ქაშვეთსა ღმერთისგან დამტკიცებულსა,
იუალთოს კისის ღვთაებას, სტუმრებით ბატივცემულსა,
შუამთასა და ბახტრიონს, სპარსეთზე განრისხებულსა
გრემს ძველ დედაქალაქს ენისლის მთის ძირსა ხლებულსა
ალვანის საყდარ-ხატებსა, ხალხს მის წინ დაჩოქებულსა,
ქსანში ლარგვისის ტაძარსა, ახლად გარემონტებულსა,
ფშავგუდამაერის მწვერვალზე ხატებსა დაბრძანებულსა,
იაღსარსა და კოპალას დევებზე გალაშქრებულსა,
მღვეთის თავს მაღლა მონასტერს მზის სხივით გაბრწყინებულსა;
სახთლით ნალესსა კედლებსა რკინის ჯაჭვს დაჟანგებულსა
ძველსა სამრეკლო ზარებსა ლურჯადბკე მოკიდებულსა,
ჩოხს, ხანდოს, წიფორს, ლაშარსა მთის თოვლით დამშვენებულსა
ხევშას, ხორხს, ხარხეთს, ანანურს, წირვ-ლოცვით ბატივცემულსა,
ელიას შაგრეშბლიანსა საავდროდ გამზადებულსა
კუშის წყალს მაღლა მწვერვალზე სვეტივით გამაგრებულსა;
ამ უსამართლო ქვეყნისთვის ხანდახან დამუქრებულსა
იმ გორგასალის ტაძარსა, მტკვრის თავზე აბრძანებულსა.
ხორნაბუჯთან სალოცავს დიდი ხნით დავიწყებულსა.
თამარ დედოფლის წყაროსთან ტყეში ნაცმოკიდებულსა,
შირაქის სალოცავებსა, დეკანოზთაგან ქებულსა
სოფლის თავიდან ბოლომდე, გორებზე გამწკრივებულსა.
ამაღლებას, ახოობას, არასდროს დამარცხებულსა
ღუდად ყველა წმიდასა, სულ ახლა დაბრძანებულსა
გიორგობას, კვირაცხოველს, სულ მუდამ გამარჯვებულსა,
შავმთას, ჩინარს და ღვთისმშობელს, შირაქში დაბადებულსა,
მანგლისის წმინდა გიორგის, ნამგნარით ამწვანებულსა,
დავითგარეჯს და ვარძიას კლდის ფერდში შესახლებულსა,
იერუსალიმის მონასტერს ქართველის აშენებულსა
მთაწმინდასა და სიონსა ქალაქში დამკვიდრებულსა.
კახთ გალმა მთაზე ტაძარსა თამარის აშენებულსა
ძველ მიწა-წყალს რომ სდარაჯობს დროებით დატყვევებულსა,
სოხუმის დამცველ ვაჟკაცებს, მტრის წინ არ დაჩოქებულსა
სისხლით მორწყულსა მიწა-წყალს გაყიდულ-გაჩუქებულსა
ერთაწმინდას და ფიტარეთს, კლარჯეთს საყდრების კრებულსა
ბანას, ოშკსა და იშხანსა თურქთაგან მიტაცებულსა
მეფეთა-მეფე თამარის, რუსთველისაგან ქებულსა
გელათში აღმაშენებელს დიდგორზე დაფიქრებულსა.
ქართლში იორთის ტაძარსა ოსებისაგან ვნებულსა
სოხუმში დრანდის მონასტერს შებილწულ-შეგინებულსა,
შიდდის მახლობლად სალოცავს, ნეკრესად სახელდებულსა
წარსულში მუსლიმანებზე ღორებსა გალაშქრებულსა
მცხეთის ჯვარს მაღლა გორაზე, ზეცამდე ამაღლებულსა,
ბეთლემის გამოქვაბულში ჯაჭვს კიბედ დაკიდებულსა
უდმერთო ადამიანის, ღმერთისკენ ძობრუნებულსა
ავთანდილ, ფრიდონ, ტარიელ ფიცგვერცხლით შედუღებულსა
ეინწვისის მთავარ ანგელოზ ანგელოზებში პირველსა
ბოლნისის სიონს ქართული წარწერით გასაკვირველსა,
ძამა-დავითს და მთაწმინდას ბევრის მომწრეს და მხილველსა,
შიო-ღვიმეში მოყვანილ, ეოჩებსა შესაწირველსა
განჯიდან გელათს მოტანილ რკინით შეჭედილ კარებსა,
ქეთევნის წმინდა მანდილს და ბაატას ბავშვურ თვალებსა,
ვინაც იმღერა „ურმული“ „ვეფხი და მოუმე“ გალექსა
ვინაც ებრძოდა მონღოლებს, აღარ უხდიდა ვალებსა
ვინაც ვერაგი მტრისათვის კრემლში მახვილი აღესა
1400 დღე-ღამე, მთავარსარდლობდა ჯარებსა,
40 წელი ამქვეყნად რეკდა მშვიდობის ზარებსა
სუეველას დიდება ვუთხრათ, ვაჟკაცებსა და ქალებსა.
ანჩისხატის და მარტვილის კარზე მოსულსა მლოცავსა,
საფარის წმინდა გიორგის, უწმინდურების მხოცავსა,
სვანეთის ციხე-კოშკებსა, ამწვანებულსა მთა-ველსა
იფარის წმინდა მონასტერს ერის საუნჯის მფარველსა,
ბოდბეში ნინოს საფლავსა, სანთლებით სურნელოვანსა,
ეაზბეგში სტეფანწმინდასა, ადგილსა მეტად კლდოვანსა,
ჰირიმზეს, ფუძის ანგელოზს, ძლიერს და სახელოვანსა,
ამერ-იმიერ ხატებსა უასაკოს და წლოვანსა,
ბეთანიაში კედელზე თამარის სახეს ხატულსა
მუზეუმებში შენახულ უძვირფასეს ხატს ხახულსა
ეველა ხატს დიდება ვუთხრათ გაგონილსა და ნახულსა,
ოსურს, სვანურს და აფხაზურს, იმერულსა და კახურსა.
ასურეთიდან მოსული 13 მამაც ვადიდოთ,
შიო, დავითი, ანტონი, თადეოზი და აბიბო,
იოვანე, სტეფან, იოსებ, მიქაელი და ზენონი,
ისიდორე, ისე, ჰიროსი, ევაცხია მათი ძირონი.
თბილისში ელიას მთაზე წმინდა სამების შენებას
თავისუფალი სამშობლოს სიამაყეს და მშვენებას,
კრწანისის ველზე დაცემულ 300 გმირის სხენებას,
ბარათაშვილის მერანის ნათელ მიზნისკენ ჯენებას,
წმინდა შარიამს ღვთისმშობელს, ლაშაზ დღეობას ბზობასა,
წყალკურთხევას და აღდგომას, ახალ წელსა და შობასა,
მეგობრობას და სიყვარულს რუსთველისებურ გრძნობასა,
მეზობლის უდალატობას და ხალხთა შორის ძმობასა,
ჰეტრიწონის და ბიჯვინთვის, აქვე ატენის სიონსა,
ბერთუბანსა და გერგეტსა ჯაღარა კავკასიონსა.
შოთას, აკაკის, ილიას, ვაჟას და გალაქტიონსა.
ალაზანს, მტკვარს და იორსა, ცხენისწყალსა და რიონსა,
შეგვასწროს სოხუმის თავზე ქართული დროშის ფრიალსა, ცხინვალის ეველა სოფლაში სწავლობდნენ „აი-ია“-სა.
ეორნების შავი ბუმბული ველად გაჰქონდეს ნიავსა,
ასრულდეს ჩვენი ოცნება, ძმვიდობა კავკასიასა.
ხატი და ღმერთი სწყალობდეს ქართველ ხალხს განათლებულსა,
მიწა-წყალს მინდვრის მოსავალს მზის სხივით განათებულსა,
ჩაის, ვაშლსა და მანდარინს, ღვინოსა ჩამაჯრებულსა,
მთელ საქართველოს სამოთხეს, ღმერთისგან მონატრებულსა.
გუდანის ხატი გაუწყრეს ჩვენ ავად მახსენებელსა,
წმინდა გიორგი ფარავდეს, მოქმელსა და გამგონებელსა.

თქმული ნიკო მასწავლებლის მიერ!

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების თარიღი ცნობილია

„ერთიანი ეროვნული გამოცდები 4 ივლისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება“, - ამის შესახებ განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, გამოცდებზე წელს არ იქნება პირბადის ტარების აუცილებლობა. ამასთან, მინისტრის მოადგილის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტს კოვიდი დადასტურდება, მათთვის დამატებითი სესია დაინიშნება და ისინი საგამოცდო პროცესს არ ჩამოშორდებიან.

როგორც ნუნუ მიცკევიჩმა აღნიშნა, სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველები გამოცდის ჩაბარებას 6 ივლისს შეძლებენ. 6 ივლისიდანვე ჩაერთვებიან საგამოცდო პროცესში მასწავლებლები — მასწავლებლის საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდებზე დარეგისტრირებულთათვის გამოცდები 25 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.

„რაც შეეხება მაგისტრანტობის კანდიდატებს, მათთვის გამოცდა 26-27 ივლისს ჩატარდება. 2022 წელს გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის სტატისტიკა ასეთია:

***ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის დარეგისტრირდა 41 000-ზე მეტი აბიტურიენტი;**

***სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის დარეგისტრირდა 2 500-ზე მეტი სტუდენტი;**

***საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის დარეგისტრირდა 9 500-ზე მეტი მაგისტრანტობის მსურველი;**

***მასწავლებლის საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირდა სულ 34 500-ზე მეტი მსურველი (საგნის გამოცდა 19 500-მდე მსურველმა აირჩია, 2 500-ზე მეტმა - უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა, ხოლო 12 500-ზე მეტმა - წამყვანი და მენტორი მასწავლებლის გამოცდა).**

დეტალური ინფორმაცია გამოცდის თარიღის, გამოცდაზე გამოცხადების დროისა და საგამოცდო ცენტრის მისამართის შესახებ მითითებული იქნება სპეციალურ ბარათზე, რომლის ამობეჭდვასაც გამოსაცდელები საკუთარი სარეგისტრაციო გვერდიდან ივნისის მეორე ნახევრიდან შეძლებენ”, - განაცხადა ნუნუ მიცკევიჩმა.

ამასთან, ბრიფინგზე შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, სოფიო გორგოძემ განაცხადა, რომ წელს გაფართოებულია მესამე საგნის არჩევანი და აბიტურიენტებს ისტორიის და მათემატიკის გარდა სხვა საგნების არჩევაც შეუძლიათ.

„ეს არის ერთ-ერთი ძირითადი სიახლე წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ეს საგნები აბიტურიენტებს უკვე არჩეული აქვთ“, - განაცხადა გორგოძემ.

ამასთან, მისივე განმარტებით, თუკი აბიტურიენტს გამოცდის დღეს კოვიდი დადასტურებული ექნება, ამ შემთხვევაში მისთვის დამატებითი სესია დაინიშნება.

„ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ივლისის თვეში მოგაწვდით. გამოცდის ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენ აბიტურიენტს დაუდასტურდება კოვიდი და შესაბამისად დავგეგმავთ დამატებით სესიებს“, - განაცხადა გორგოძემ.

გარდა ამისა NAEC-ის ხელმძღვანელმა გამართულ ბრიფინგზე მასწავლებელთა პროფესიული გამოცდის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ წელს პედაგოგებს ორი ძირითადი სიახლე დახვდებათ.

„წელს სიახლე გახლავთ ორი ახალი გამოცდა მასწავლებლებისთვის - ერთი ეს არის, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებელი გამოცდა და აზერბაიჯანული როგორ მშობლიური ენა და სომხური, როგორც მშობლიური ენა. ორივე ტიპის გამოცდა პირველად ტარდება და მათ ამ გამოცდის საფუძველზე საშუალება ექნებათ სტატუსი აიმაღლონ“,- განაცხადა გორგოძემ.

გთავაზობთ 2022 წლის გამოცდების განრიგს:

ქართული ენა და ლიტერატურა:

4 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
5 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
6 ივლისი (პირველი სესია);
4 ივლისი (პირველი სესია) - ოსური ენა;

მათემატიკა

8 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
უცხოური ენა:
11 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
12 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
13 ივლისი (პირველი სესია) — ინგლისური ენა;
13 ივლისი (მეორე სესია) - რუსული ენა;
13 ივლისი (მეორე სესია) - ფრანგული ენა;
13 ივლისი (მეორე სესია) - გერმანული ენა;

ფიზიკა

14 ივლისი (მეორე სესია);

ლიტერატურა

14 ივლისი (მეორე სესია);

ქიმია

15 ივლისი (მეორე სესია);
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
15 ივლისი (მეორე სესია);

ისტორია:

18 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
19 ივლისი (პირველი სესია);

ზოგადი უნარები

19 ივლისი (მეორე სესია);

ბიოლოგია

20 ივლისი (მეორე სესია);

გეოგრაფია

21 ივლისი (მეორე სესია);

სამოქალაქო განათლება

22 ივლისი (პირველი სესია);

სტუდენტთა საგრანტო კონკურსი

6 ივლისი (მეორე სესია);

საერთო სამაგისტრო გამოცდა

26 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
27 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა;

საგნის პროფესიული უნარების უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა

6 ივლისი (მეორე სესია) — უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა;
7 ივლისი (პირველი სესია):

ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV);

ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური I-VI);
ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური I-VI);
7 ივლისი (მეორე სესია):
მათემატიკა (დაწყებითი საფეხური I-VI);
მუსიკა;
სამოქალაქო განათლება (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
14 და 15 ივლისი (პირველი სესია)

წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთა გამოცდა პროფესიულ უნარებში;

14 ივლისი (მეორე სესია)
ბიოლოგია (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
15 ივლისი (მეორე სესია):
გეოგრაფია (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
აზერბაიჯანული ენა;
19 ივლისი (მეორე სესია)
ქიმია (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
20 ივლისი (პირველი სესია)
ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
მათემატიკა (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
სომხური ენა;
21 ივლისი (პირველი სესია)
ისტორია (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
სპორტი;
ფიზიკა (საბაზო ან /და საშუალო საფეხური);
22 ივლისი (პირველი სესია)
ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - წერითი ნაწილი;
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - წერითი ნაწილი;
24 ივლისი
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - პრაქტიკული ნაწილი;
25 ივლისი
ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი;
ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან /და საშუალო საფეხური) - პრაქტიკული ნაწილი.

ვარშავაში ქართული ღვინის წარდგენის ღონისძიება გაიმართა

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ჯეოპე ჯლ” ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა.

დეგუსტაცია-სემინარს, რომელსაც ცნობილი ღვინის ექსპერტი, სომელიე და ღვინის სკოლის დამფუძნებელი სიმონ მილონასი (Szymon Milonas) უძღვებოდა, ადგილობრივი მედიის, კომერციული სექტორისა და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ქართული სუფრის კულტურასა და ტრადიციებს. ღონისძიებაზე ქართული ღვინის მწარმოებელი 6 კომპანიის ღვინოები და ქართული სამზარეულო იყო წარმოდგენილი.

მიმდინარე წლის მაისში, ქართული ღვინის წარდგენა პოლონელი სომელიეების, ღვინის დისტრიბუტორებისა და ცნობილი რესტორნების წარმომადგენლებისთვისაც გაიმართა.

პოლონეთი ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, რომელმაც ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი. 2021 წელს, პოლონეთში ქართული ღვინის ექსპორტმა 7 მილიონ ბოთლს გადააჭარბა, ზრდამ, 2020 წელთან შედარებით, 34%-ს მიაღწია. ექსპორტი მზარდია მიმდინარე წელსაც; იანვარ-აპრილში ექსპორტირებულია 2,4 მლნ ბოთლი, ზრდა 30%-ს აღწევს.

„სავარაუდოდ, რთველის სუბსიდირება მოგვიწევს“ – ლევან მეხუზლა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან მეხუზლა აცხადებს, რომ 2022 წელს მთავრობას, სავარაუდოდ, რთველის სუბსიდირება მოუწევს, თუმცა, ამ ეტაპზე დაფინანსების კონკრეტულ სქემაზე ვერ საუბრობს.

„პირდაპირ გეტყვით, რომ დაფინანსების ზუსტი სქემა ჯერჯერობით შემუშავებული არ გვაქვს და რამდენიმე ვარიანტზე ვმუშაობთ. ამ ეტაპზე ძალიან გვინდა, რომ არ ჩავერიოთ წითელი ყურძნის (საფერავი) კომპონენტშიც, რომლის რეალიზებაც რამდენიმე წელია თავისუფალ ბაზარზე ხდება.

რაოდენობიდან და ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, თეთრ ყურძენში (რქაწითელი) ჩარევა მოგვიწევს. ჩარევა ნიშნავს, მათ შორის, სუბსიდიას. მოგეხსენებათ, გარკვეული რაოდენობით არაკონდიცირებულ ყურძენს სახელმწიფო საწარმო იბარებდა. ზუსტ სქემებზე ჯერჯერობით პასუხი არ მაქვს”,-უთხრა მეხუზლამ BMG-ის.

2021 წელს საქართველოს მთავრობას რთველის სუბსიდირება რეკორდული, 138,4 მლნ ლარი დაუჯდა. BMG-ის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2015-2020 წლებში სახელმწიფომ მევენახეთა სუბსიდირებაზე 212 მილიონი ლარი დახარჯა, რითიც 285 ათასი ტონა ყურძენი შეისყიდა. მათ შორის, ყველაზე დიდი - 87.1 მილიონი ლარის შესყიდვა 2020 წელს განხორციელდა, რითაც მთავრობამ 95 ათასი ტონა ყურძენი შეიძინა.

სუბსიდირების პროგრამით ნაყიდი ყურძნისგან მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო კომპანია სპირტს და ღვინო-მასალას ამზადებს, რასაც შემდეგ საბითუმო ბაზარზე ყიდის.

საქართველოში მოსახლეობის აღწერა 2024 წლის ბოლოს ჩატარდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომაზე საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა მოსახლეობის 2024 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა, რომელიც მოიცავს მოსახლეობის აღწერის ძირითად პრინციპებს,მეთოდოლოგიურ და საორგანიზაციო საკითხებს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროგრამის შესაბამისად, მოსახლეობის მომდევნო აღწერის თარიღად საკოორდინაციო სამთავრობო კომისიამ 2024 წლის ბოლო განსაზღვრა.

აღწერის შედეგად მიღებული იქნება უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის და საცხოვრისების შესახებ.

სამთავრობო საკოორდინაციო კომისიის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო აღწერაც, რის შედეგადაც, სოციალურ და დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, შეგროვდება ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ.

მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისია საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა და მის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ქვეყანაში ბოლო აღწერა 2014 წელს ჩატარდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 2015 წლის 10 ივნისს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, წევრმა სახელმწიფოებმა „მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდში“ უნდა ჩაატარონ სულ მცირე ერთი აღწერა საერთაშორისო და რეგიონალური რეკომენდაციების გათვალისწინებით. მოსახლეობის და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდად განისაზღვრა 2015-2024 წლების პერიოდი.

„ჩვენი არცერთი მოქალაქე არ დაიჩაგრება“ - პრემიერი ბორჯომის დასაქმებულებზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კომპანია „აი დი ეს ბორჯომის“ დასაქმებულები, რომლებიც ერთი კვირაა „ბორჯომში“ საპროტესტო აქციებს მართავენ, არ დაიჩაგრებიან და ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც საჭიროა. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მთავრობის სხდომის დაწყებამდე „ბორჯომის“ აქციების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის შესახებ საუბრისას განაცხადა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მინისტრის ჩართულობით დაწყებულია მედიაციის პროცესი.

„ვიცი, რომ იქ (კომპანია „ბორჯომში“) რაღაც სირთულეებია, იქ დასაქმებულები აპროტესტებენ. დღეს დილით საუბარი მქონდა ზურაბ აზარაშვილთან. მისი დავალებით პროცესში შრომის ინსპექცია ჩაერთო. მინდა ვუთხრა ყველას - არცერთი ჩვენი მოქალაქე არ დაიჩაგრება და ყველას სამართლიანად მოვექცევით. ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც საჭიროა“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ცნობისთვის: კომპანია “ბორჯომის” მხრიდან წარმოების გაჩერების შესახებ აპრილში გაკეთებული განცხადების შემდეგ, ადმინისტრაციის მიერ დასაქმებულებისთვის შეთავაზებული ახალი სამუშაო ხელშეკრულებების გამო უთანხმოება წარმოიშვა და აგრარული მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფკავშირის მხარდაჭერითა და ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობით მედიაციის პროცესი დაიწყო, რომელიც 27 მაისს უშედეგოდ დასრულდა. მას შემდეგ კომპანიის თანამშრომლებმა 4 ძირითადი მოთხოვნით საპროტესტო აქციები წამოიწყეს.

„ბორჯომის“ გაფიცულ თანამშრომლებს შემდეგი მოთხოვნები აქვთ:

1. 50 უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლის სამსახურში დაბრუნება.
2. ძველ სახელშეკრულებო პირობებზე დაბრუნება;
3. 3-6-თვიანი და 1-წლიანი ხანგრძლივობის ხელშეკრულებების უვადოზე ხელშეკრულებებით შეცვლა;
4. იძულება, შანტაჟსა და მუქარაში შემჩნეული ადმინისტრაციის თანამშრომლების გათავისუფლება.

„ბორჯომის აქციონერი საქართველოს მთავრობა გახდება“ - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფოსთვის “ბორჯომის” აქციების გადაცემის საკითხი მომდევნო მთავრობის სხდომაზე განიხილება.

„ეკონომიკის სამინისტრომ დაასრულა მოლაპარაკებები. ერთი კვირის თავზე მთავრობის სხდომაზე გამოვიტანთ საკითხს და ჩვენ - მთავრობა, სახელმწიფო გახდება “ბორჯომის” აქციონერი, თანამფლობელი და ამით ეს პრობლემაც მოგვარდება“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილი „ბორჯომის“ დასაქმებულთა გაფიცვასაც შეეხო.

„ვიცი, რომ მანამდე იქ რაღაც სირთულეებია, იქ დასაქმებულები აპროტესტებენ. დღეს დილით საუბარი მქონდა ზურაბ აზარაშვილთან. მისი დავალებით პროცესში შრომის ინსპექცია ჩაერთო, მინდა ვუთხრა ყველას, რომ არცერთი ჩვენი მოქალაქე არ დაიჩაგრება და ყველას სამართლიანად მოვექცევით. ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც საჭიროა“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ცნობისთვის, 19 მაისს “IDS ბორჯომმა” ინფორმაცია გაავრცელა, რომ კომპანიის მფლობელი მზადაა, საქართველოს მთავრობას აქციების ნაწილი უსასყიდლოდ გადასცეს.

IDS Borjomi International-ის ძირითადი აქციონერია რუსული “ალფა ჯგუფი” (Alfa Finance), რომელიც თავის მხრივ, სანქცირებული რუსი მილიარდერის, მიხაილ ფრიდმანის დაფუძნებულია. “ალფა” ბორჯომის საკონტროლო პაკეტს 2013 წლიდან ფლობს, როდესაც რუსულმა ჰოლდინგმა 60%-იანი წილი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისგან $460 მილიონად შეისყიდა. შედეგად, ამჟამად IDS Borjomi International-ის 60%-იან წილს “ალფა ჯგუფი”; 40%-იან წილს კი პატარკაციშვილების ოჯახი ფლობს.

კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“ პრემიერ-მინისტრის მიერ დღეს, მთავრობის სხდომის დაწყებამდე გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება, რომელიც დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის მედიაციის პროცესს შეეხებოდა. აღნიშნულ საკითხზე კომპანია განცხადებას ავრცელებს და დასაქმებულებთან ღია დიალოგისთვის მზაობას გამოთქვამს.

„პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ მივესალმებით პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შრომის ინსპექციის ჩართვის შესახებ.

როგორც არაერთხელ განვაცხადეთ, ჩვენ მზად ვართ ღია დიალოგისთვის და მზად ვართ მივაწოდოთ შრომის ინსპექციას სრული და ამომწურავი ინფორმაცია, როგორც ზოგადად კომპანიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რა ვითარებაში აღმოჩნდა და რა სირთულეებთან უწევს გამკლავება კომპანიას დაწესებული სანქციებისა, გაყინული ანგარიშებისა და ბაზრებზე გართულებული წვდომის პირობებში, ასევე კანონის სრული დაცვით განხორციელებულ რეორგანიზაციის პროცესზე, რომლის შედეგადაც კომპანიამ მაქსიმალურად შეუნარჩუნა ბორჯომში დასაქმებულებს სამუშაო ადგილები.

შექმნილ ვითარებაში, მაშინ როდესაც ნებისმიერი ბიზნეს კომპანია სრულ რეორგანიზაციას ჩაატარებდა, ჩვენ მივიღეთ უპრეცედენტო გადაწყვეტილება და მასშტაბური გათავისუფლებების ნაცვლად, თანამშრომელთა 90%-ზე მეტს შევუნარჩუნეთ სამუშაო ადგილი, ასევე, უცვლელი დარჩა მათი სახელფასო განაკვეთი და კრიზისის მიუხედავად არ შემცირებიათ. შეიცვალა მხოლოდ არასამუშაო საათების დაანგარიშების სისტემა, თუმცა, ის კვლავაც ინდუსტრიაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე უკეთესია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნამუშევარი საათების ანაზღაურება უცვლელი რჩება ყველა თანამშრომლისთვის. რაც შეეხება რეორგანიზაციის შედეგად შემცირებულ თანამშრომლებს, მათ სრულად აქვთ მიღებული კუთვნილი ხელფასი, ასევე 2 თვიანი კომპენსაცია, როგორც ამას კანონმდებლობა ითხოვს.

რაც შეეხება ხელფასების დაგვიანების შესახებ გაჟღერებულ ინფორმაციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკიდურესად შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, პირველ რიგში, იმ თანამშრომლების ანაზღაურება ირიცხება, ვინც ამ ეტაპზე წარმოების პროცესშია ჩართული. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ჩვენი კომპანია მუშაობს მინიმალური დატვირთვით, ძირითადად საქართველოს ბაზრისთვის.

ასევე, გვინდა გამოვეხმაუროთ გავრცელებულ დეზინფორმაციას, თითქოსდა კომპანიას უცხო ქვეყნის მოქალაქეები აჰყავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არის სიცრუე, პროცესების ესკალაციის მცდელობა და კომპანია ბორჯომს არც ერთი ახალი თანამშრომელი არ დაუქირავებია“, - ნათქვამია განცხადებაში.

„IDS ბორჯომი საქართველოში“ აცხადებენ, რომ მათთვის ყველა თანამშრომელი მნიშვნელოვანია, თუმცა თვლიან, რომ ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიის თითოეული თანამშრომელი. ამასთანავე, ვაცხადებთ, რომ სრულიად მიუღებელია ულტიმატუმის ენით საუბარი და წარმოებაში ჩართული თანამშრომელების მიმართ აგრესია. ნებისმიერ მსგავს ქმედებას მოყვება შესაბამისი რეაგირება, კანონის სრული დაცვით.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში სრულმასშტაბიანად აღვადგინოთ წარმოება, დავიბრუნოთ ბაზრები და კვლავაც გავაგრძელოთ ჩვენი თანამშრომლებისთვის სექტორში საუკეთესო პირობების შექმნა. ასევე, მივესალმებით შექმნილი ვითარების კონსტრუქციული დარეგულირებისკენ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს“, - აცხადებენ კომპანიაში.

ცნობისთვის: “IDS ბორჯომი საქართველოს” მხრიდან წარმოების გაჩერების შესახებ, აპრილში გაკეთებული განცხადების შემდეგ, ადმინისტრაციის მიერ დასაქმებულებისთვის შეთავაზებული ახალი სამუშაო ხელშეკრულებების გამო უთანხმოება წარმოიშვა და აგრარული მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფკავშირის მხარდაჭერითა და ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობით მედიაციის პროცესი დაიწყო, რომელიც 27 მაისს უშედეგოდ დასრულდა. მას შემდეგ კომპანიის თანამშრომლებმა 4 ძირითადი მოთხოვნით საპროტესტო აქციები წამოიწყეს. დღეს მთავრობის სხდომის დაწყებამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „ბორჯომის“ აქციების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ განაცხადა და აღნიშნა, რომ ბორჯომის სანარმოში დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის არსებული უთანხმოების სამედიაციო პროცესში ჯანდაცვის სამინისტრო ჩაერთვებოდა.

საქართველოში „მაიმუნის ყვავილის“ ერთ საეჭვო შემთხვევას იკვლევენ



საქართველოში, „მაიმუნის ყვავილის“ ერთ საეჭვო შემთხვევას იკვლევენ. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული შემთხვევის გარდა, დაკვირვება მიმდინარეობდა „მაიმუნის ყვავილის“ კიდევ ერთ სავარაუდო შემთხვევაზე, რა დროსაც, ინფექცია არ დადასტურდა.

„მოგეხსენებათ, რომ მაისის შუა რიცხვებიდან გამონაყარით მიმდინარე დაავადებებზე ჩვენთან ზედამხედველობა გაძლიერდა. „მაიმუნის ყვავილისთვის“ ერთ-ერთი მთავარი სიმპტომი გამონაყარია.

ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ცირკულარი სამედიცინო დაწესებულებებს დაეგზავნათ. ცირკულარში ჩამოყალიბებული იყო რომელს უნდა დაარქვან სავარაუდო შემთხვევა, რომელს დადასტურებული და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, სადაც ექიმი ჩათვლის, რომ შესაძლოა საქმე გვქონდეს სავარაუდო შემთხვევასთან, ეს მასალა უნდა გამოიგზავნოს დაავადებათა კონტროლის ცენტრში კველევისთვის. ასეთი ერთი უკვე იყო, სადაც ჩატარდა კვლევა და უარყოფითი იყო. არის მეორე, რომელიც კვლევაშია“,-აღნიშნავს გამყრელიძე.

ევროპარლამენტი მხარს უჭერს კანდიდატის სტატუსის მინიჭებას საქართველოსთვის, უკრაინისა და მოლდოვისთვის

„პრეზიდენტთა კონფერენციის სახელით, ევროპის პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფების ლიდერები მიმართავენ წევრი ქვეყნების და მთავრობების ლიდერებს, რომლებიც ორ კვირაში, ბრიუსელში შეიკრიბებიან, რათა გადაწყვეტილება მიიღონ უკრაინის, მოლდოვის და საქართველოს განაცხადებზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ სიმამაცე, გაბედულება და ხედვა, გაუარესების პროცესში მყოფი საერთაშორისო გარემოს პირისპირ. გეოპოლიტიკური მოცემულობების ცვლილება ჩვენი მხრიდან მოქმედებას მოითხოვს. ამით ვუერთგულებთ ჩვენს პრინციპებსა და ღირებულებებს. უკრაინელები, რომელთა სამშობლოც სასტიკი თავდასხმის ქვეშაა — თუმცა მოლდაველები და ქართველებიც, რომლებიც უფრო ნათელი მომავლისკენ მიილტვიან — ელიან სიგნალს, რომ მათი ადგილი ევროპულ ოჯახშია. ამიტომაც, ეს პალატა მძლავრად მოგიწოდებთ მისცეთ უკრაინას, მოლდოვის რესპუბლიკას და საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის და [მათი] მიღწევების გათვალისწინებით”.

წარმოდგენილი ტექსტი არის ერთობლივი განცხადების პროექტი და ის კვლავ შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს, თუმცა, როგორც ევროკავშირის საქმეებში რადიო თავისუფლების კორესპონდენტი გვატყობინებს, მთავარი საკითხები, მათ შორის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა, ტექსტში დარჩება. გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკური ჯგუფების ლიდერების გაერთიანება არ მონაწილეობს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების პროცესში და მათი მხარდაჭერა, მხოლოდ მოწოდებაა ევროკომისიისადმი მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მაისის თვეში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადის და რეისების რაოდენობა აღდგა

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო მიმოსვლის დადებითი დინამიკა კვლავ ნარჩუნდება. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.

მათივე ცნობით, მიმდინარე წლის მაისის თვეში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში მგზავრთნაკადის 111% აღდგა. 2022 წლის მაისში, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 72 104 მგზავრს მოემსახურა. (2019 წლის მაისი 64 745 მგზავრი).

მგზავრთნაკადის გარდა, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დადებითი დინამიკაა ავიარეისების რაოდენობის აღდგენის კუთხითაც.

მაისში, აეროპორტში რეისების 115% აღდგა და 241 რეისს მოემსახურა. (2019 წლის მაისი - 210 რეისი).

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 5 ავიაკომპანია 14 ქვეყნის 25 მიმართულებით ოპერირებს.

რუსეთის მხრიდან დაბომბვების შედეგად ათობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და დაშავდა

უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ვალენტინ რეზნიჩენკო აცხადებს, რომ ქალაქი კრივი-რიჰი, რომელიც ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, რუსული ძალების მხრიდან მუდმივი ცეცხლის ქვეშაა.

„ზელენოდოლსკი და შიროკივი ყველაზე მეტად ზარალდებიან. სამწუხაროდ, იქ ექვსი ადამიანი დაიღუპა, დაინგრა ან დაზიანდა - 179 სახლი, 2 სკოლა, საბავშვო ბაღი და საავადმყოფო, - განაცხადა რეზნიჩენკომ.

მისი თქმით, კრივი-რიჰის სოფლები და ქალაქები “დაბომბვის გამო კასეტური ბომბებითაა სავსე” და იქ გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდების პრობლემაა.

ამასთან, ხარკოვის ოლქის რეგიონის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ოლეგ სინეგუბოვის ინფორმაციით, რუსეთის მხრიდან განხორციელებული თავდასხმების შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, 14 კი დაშავდა.



ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დიდი ქართველი რეჟისორის, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის და საქართველოს თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ ორგზის მფლობელის ბატონი,

თემურ ჩხეიძის

გარდაცვალების გამო. ამ მძიმე წუთებში სამძიმარსა და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის უსაყვარლეს მეუღლეს ნანა ჩიქვინიძეს, ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

დედოფლისწყაროს მერია, საკრებულო, მწიგნობართა ასოციაცია და გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.

ყურადღება!

სსიპ კოლეჯი „აისი“/Gollege Aisi
აცხადებს მიღებას
2022-2023 სასწავლო წლისათვის

სსიპ კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს ფილიალში მიმდინარეობს რეგისტრაცია მიმდინარე წლის 20 აგვისტოს ჩათვლით, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ინჟინერიის მიმართულება:

1. ელექტროობა - III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 9,5 თვე)
2. ქვის სამუშაოების წარმოება - III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 11 თვე)

ხელოვნების მიმართულება:

1.თმისა და სილამაზის მომსახურება-III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 10,5 თვე)

2. თექის დამზადება - III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 13,5 თვე)

ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულება

1. ბუღალტრული აღრიცხვა-V დონე(სწვლის ხანგრძლივობა 18 თვე)
V დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისა და სწავლის დაწყებისთვის აუცილებელია, პირს ჰქონდეს სრული ზოგადი განათლება.
ჩარიცხვა ხდება გასაუბრების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. 2 ცალი ფოტოსურათი/ზომით 3/4
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი
4. განცხადება/ადგილზე შევსებით

საბუთების მიღება დაიწყო!
იჩქარეთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:
ქ. დედოფლისწყარო, სოფ. სამრეკლო (სოფ. ჯაფარიძე)
ტელ: 577 557 159 ; 577 962 967

კონცერტი დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში

7 ივნისს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი და კომპოზიტორ ირაკლი კიკილაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ერთობლივად გაიმართა.

კონცერტის დაწყებამდე სამუსიკო სკოლის ვესტიბიულში მოეწყო სამხატვრო განყოფილების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და მოწვეული სტუმრები შთაბეჭდილებებით აღვსავსენი შევიდნენ კლასიკური მუსიკის კონცერტზე. შესავალ სიტყვაში ლუკამ და ანანომ კიდევ ერთხელ შეახსენეს დამსწრე საზოგადოებას და თანატოლებს, რაოდენ მნიშვნელოვანია დღეს მსოფლიოში ბავშვთა დაცვა და უსაფრთხოება, ყველაზე მეტად კი ომის საშიშროებისგან დაცვა. მოსწავლეებმა: კესარია გოგაშვილმა, ლიზი სანამიანმა, სალომე ტუსაშვილმა, ნიკოლოზ ღვედაშვილმა, თამარ არაბულმა,თეკლა წიკლაურმა, ლუკა ყაჭაშილმა, თამარ ჩუთლაშვილმა, ლალა ჩოფიკაშვილმა, მარიამ ხუციანიძემ, ნინო ნატროშვილმა და ნიკოლოზ პაპაშვილმა ამ დღეს უამრავი კლასიკოსის ნაწარმოები შეასრულეს და კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს მათი პედაგოგების დიდი შრომის შედეგი მაყურებლის ოვაციების ფონზე.

კონცერტის მეორე ნაწილი კი მთლიანად მიეძღვნა კომპოზიტორ ირაკლი კიკილაშვილის ხსოვნას. შესრულდა მისი, როგორც საფორტეპიანო, ასევე სავიოლინო ნაწარმოებები. იგი კოლეგებმა გაიხსენეს უთბილესი სიტყვებით. ირაკლი კიკილაშვილის ორი ნაწარმოები ვიოლინოზე შეასრულა მისმა შვილმა და ვიოლინოს პედაგოგმა - თამარ კიკილაშვილმა. საღამომ ძალიან ამაღელვებელი განწყობა დატოვა მაყურებელში. დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** და მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა** სცენაზე დასკვნითი სიტყვები თქვეს და აღტაცება ვერ დაფარეს აკადემიური კონცერტის ასეთ მაღალ დონეზე შესრულების გამო, მათ მადლობა გადაუხადეს მონაწილე ბავშვებს, მათ მშობლებს მხარდაჭერისთვის, ხოლო სკოლის პედაგოგებს: დირექტორს-**დალი ელისაშვილს**, კოორდინატორს-**მარიამ კიკილაშვილს**, სამუსიკო განყოფილების უფროსს-**ლია ხაჩიაშვილს**, სამხატვრო განყოფილების უფროსს - **აკაკი მერაბიშვილს,** ვიოლინოს პედაგოგს-**თამარ კიკილაშვილს,** პედაგოგებს-**დალი ხუციშვილს**, **ნინო ალადაშვილს** და **მარიკა მგელიაშვილს** მრავალი წლის მანძილზე გაწეული დიდი შრომისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ულოცავენ!

ვიოლეტა დავთიანს !

გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს. სიკეთისა და სიყვარულის გზით ცხოვრობთ და დიდხანს, დიდხანს იცხოვრეთ ასე. ულამაზესი ცხოვრების წლებს გისურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად. კვლავაც ასეთი დაუღალავი ენერგიით ემსახურეთ მომავალი თაობის აღზრდას.
გვახსოვხართ, გვიყვარხართ!

პატივისცემით,
ცქურო იაკობიშვილი.

ფატი ზურაშვილს!

ჩვენთვის ძვირფასო ადამიანო, გილოცავთ დაბადების 82 წლისთავს. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი. გაიხარე ჩვენი სიხარულით! შენ მთელი ცხოვრება ყველა ჩვენგანზე ზრუნვაში გალიე, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. იცოცხლე დიდხანს ჩვენს საიმედოდ და სანუგეშოდ. უფალი გფარავდეს!

სიყვარულით და პატივისცემით,
და ლუიზა ზურაშვილი, დისშვილები: თამაზი, ზურა, ნელი ქენქაძეები ოჯახებით, დისშვილიშვილები: ვასიკო ჯაგოდნიშვილი ოჯახით, ნია, მარი და ბარბარე ტუსაშვილები, სიძეები: ცუცნა ტუსაშვილი, გიორგი მარტყოფლიშვილი, გიორგი ხუჭუა, სათნოების სახლის დაქალები, მეგობრები, ევდოშვილის ქუჩის მეზობლები.

ბიბლიოთეკის ერთგული სტუმრები!

წიგნთან გაუცხოება ახალი ამბავი არაა. დღეს, მეგობრის დაბადების დღეზე მისულ ახალგაზრდებს, სუფრასთან ერთმანეთთან კომუნიკაციის ნაცვლად კვლავ მობილური ტელეფონებით ხელში მსხდომთ და „მოჩათავეთ“ ვხედავთ... ეს ოცდამეერთე საუკუნის რეალობაა.

განსხვავებულ სიტუაციას შევესწარი სოფელ მირზაანში. ბიბლიოთეკის ეზოში წიგნით ხელში მდგომ ბიბლიოთეკარს შორენა წიკლაურს ბავშვები ინტერესით უსმენდნენ. ცოტა ხანში მათ სხვა ბავშვებიც შემოუერთდნენ, ისინი, ვისაც გაკვეთილები დაუმთავრდათ.

როგორც თავად ბავშვებისგან შევიტყვე, ისინი ხშირად სტუმრობენ ბიბლიოთეკას და წიგნებსაც საჯაროდ კითხულობენ, შემდეგ მათ განხილვასაც აწყობენ. 1 ივნისს ამ ეზოში ბავშვთა დაცვის დღე სხვადასხვა აქტივობით აღნიშნეს, მათ შორის მხატვრულად წაიკითხეს ცნობილი პოეტების ლექსები.

ნორჩ მკითხველებს თავიანთი “კლასგარეშე შორენა მასწავლებელი” ძალიან უყვართ. სიყვარულის ნიშნად მას ხელნაკეთი სამკაულებიც აჩუქეს...

წიგნთან სიახლოვე ბავშვების თვალსაწიერის გაფართოებისთვის და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ძალიან იშვიათი გახდა. მირზაანის ბიბლიოთეკის ეზო ის ოაზისი აღმოჩნდა, რომელიც წიგნთან გაუცხოების დასასრულის იმედს გიბრუნებს.

ი ყ ი დ ე ბ ა !
იყიდება ფუტკარი, სკები, სკის სადგამები, ფუქსი, მავთული (უხმარი), პირბადე, ფიჭის ამოსაღები, დეზი, ასტამი და ა.შ.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ტელ: 571 08 47 75

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 13.06	სამშაბათი 14.06	ოთხშაბათი 15.06	ხუთშაბათი 16.06	პარასკევი 17.06	შაბათი 18.06	კვირა 19.06
დღე	26°	27°	27°	26°	25°	25°	26 °
ღამე	16°	15 °	16°	15 °	15 °	15 °	15 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.